ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 232
(7543)

6
1983 წ.
დეკემბერი.
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

ხელბურთელთა XVII საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

გიწვევთ სპორტის სასახლეში

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ხელბურთელ ვაჟთა ტრადიციული, XVII საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა, სპორტის საპატიო ოსტატმა **ჯ. აბაიშვილმა** ინტერვიუ სთხოვა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს, გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ გენერალურ დირექტორს **ნიკოლოზ ცხაკაიას.**



● რამდენიმე სიტყვით თბილისის ტურნირის შესახებ, რას ელით ქართველი ხელბურთელებისაგან?

— დავიწყებ იმით, რომ ტურნირის ჩატარების ყველა საორგანიზაციო საკითხი საქართველოს სპორტკომიტეტთან ერთად დროულად გადავჭერით. თითოეული გუნდისათვის თბილისში გატარებული დღეები შთამბეჭდავი იქნება. დამზადდა ახალი მთავარი პრიზი: ესაა ბროლის ვაზა, რომელზეც აღბეჭდილია ჯიქი ხელბურთის ბურთით. ეს ემბლემა შემთხვევით არ იქნა შერჩეული — ჯიქი ხომ სიმამაცის, გამძლეობის, ძალის, მოქნილობის, სისწრაფის სიმბოლოდ ითვლება. მთავარ პრიზისმაგვარი მომცრო ზომის პრიზები დაურიგდება აგრეთვე ტურნირის ყველა მონაწილეს.

ტურნირის შემადგენლობა ძლიერია. თვით ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობენ მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიადების ჩემპიონები — იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის, აგრეთვე მსოფლიოს უძლიერესი გუნდები — პოლონეთისა და ესპანეთის ნაკრებები — უკვე მრავლისმეტყველია. მათთან ერთად საქართველოს ნაკრები გუნდის მონაწილეობა, ვფიქრობთ, ჩვენი ხელბურთელებისათვის დაოსტატების კარგი სკოლა იქნება.

წინა წლების ტურნირებში თბილისელებმა რამდენიმეჯერ წარმატებით იასპარეზეს, როდესაც საპრიზო ადგილები დაიკავეს. იმედს ამჯერადაც არ ვკარგავთ.

ჩვენი კოლექტივის ძირითად ბირთვში ცვლილებები არ მომხდარა. მის წამყვან ძალად ისევ ვეტერანები რჩებიან, თუმცა ახალგაზრდობა ბევრს გვპირდება და მათგან უკვე ველით შედეგს.

● როგორ გესახებათ ჩვენი ხელბურთის მომავალი?

— ქართულმა ხელბურთმა, ალბათ გახსოვთ, „დაბადებისთანავე“ სვლა გამარჯვებებით დაიწყო და გასაკვირი არ არის, რომ მისგან მხოლოდ წარმატებებს ვთხოულობდით. მაგრამ ბოლო წლების წარუმატებელმა სტარტებმა ხელბურთელთა ბევრი ნაკლი გამოამზეურა. ეს პირველ რიგში საიმედო რეზერვის აღზრდას შეეხება. დღეს ამ მხრივ მნიშვნელოვნად გამოსწორდა მდგომარეობა. ამავე დროს გაფართოვდა მატერიალური ბაზა. ამჟამად ყველგან, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში არის ხელბურთისათვის განკუთვნილი კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი. დღის წესრიგში დგება მწვრთნელთა ხარისხიანი შრომის საკითხი, რასაც, ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში დადებითად გადაჭრიან სპორტული ორგანიზაციები.

ყურადღების მთავარი ობიექტი დღეს ბავშვთა ხელბურთია. განათლების სამინისტროსა და სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი მეცადინეობით გადაწყდება ის ძირითადი ამოცანა, რომ ხელბურთი იქცეს ბავშვების ერთ-ერთ საყვარელ სპორტის სახეობად მათი ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში, რომ „ბურევესტნიკისა“ და გლდანის რაიონის შესანიშნავი სპორტული კომპლექსები ნორჩ ხელბურთელთა ნამდვილი სამჭედლო გახდეს. ამ მხრივ გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯებიც. გლდანის ერთ-ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა გადაიქცევა სპეციალიზებულ ხელბურთის სკოლად. წყალტუბოს რაიონში არსებული 150 კაცისთვის განკუთვნილი დასასვენებელი კოტეჯები სპორტული მოედნების კომპლექსითურთ გადაეცემა განათლების სამინისტროს ხელბურთის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკისათვის. ასე რომ, ნორჩ ხელბურთელებს ყველა პირობა ექნებათ ოსტატობის დახვეწისათვის, რის შემდეგ შედეგსაც უნდა ველოდოთ.

(დასასრული მე-4 გვ.).

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

●

იოსელიანი— სემიონოვა

მეათე პარტია

გუშინწინ დაგომისში, ნ. იოსელიანი— ლ. სემიონოვას მატჩში გაიმართა მეათე პარტია, ორივე დიდოსტატს მოგება სჭირდებოდა, ამიტომ თავიდანვე ასეც დაიწყეს.

სიცილიურ დაცვაში სწრაფად გაიცვალა ლაზიერები და მეტოქეებმა რთულ ენდშპილში განაგრძეს ბრძოლა. პოზიცია თანდათან მარტივდებოდა, მაგრამ სიცხარე მაინც არ კლებულობდა. სემიონოვამ ცენტრი გაამაგრა, იოსელიანმა კი ლაზიერის ფრთაზე გახსნა ხაზი და ეტლით შეიჭრა მეტოქის ბანაკში. ამ ეტლმა შეზღუდა სემიონოვას ფიგურების მოძრაობა. დიდოსტატებმა სვლების გამეორება დაიწყეს, მაგრამ სემიონოვამ არ ისურვა ყაიმი და 37-ე სვლაზე სხვა გაგრძელება აირჩია.

პარტია გადაიდო ამ პოზიციაში



41-ე სვლა ჩაიწერა სემიონოვამ.

სემიონოვა — იოსელიანი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 c×d4 4. მ×d4 მf6 5. მc3 e5 6. მdb5 h6 7. მd6+ კ×d6 8. ლ×d6 ლe7 9. ლ×e7+ მფ×e7 10. კe3 d6 11. 0—0—0 კe6 12. h3 ეhc8 13. მფb1 მa5 14. კd3 a6 15. f4 მc4 16. კc1 e×f4 17. კ×f4 მe5 18. ეd2 b5 19. ეhd1 ეa7 20. a3 ეb7 21. მe2 მ×d3 22. c×d3 h4 23. a×b4 e×b4 24. კe3 d5 25. ეc1 ე×c1+ 26. მფ×c1 ეa4 27. კc5+ მფe8 28. e5 მd7 29. კd4 ეa1+ 30. მფc2 ეe1 31. b4 მb8 32. კf2 ეf1 33. მg3 ეa1 34. მფb2 ეa4 35. მფb3 ეa1 36. მფb2 ეa4 37. კc5 d4 38. მh5 ეa2+ 39. მფc1 ეa1+ 40. მფc2 ეa2+. პარტია გადაიდო.

გუშინ გაიმართა გადადებული პარტიის დამთავრება. 88-ე სვლაზე გაიმარჯვა სემიონოვამ და მოიპოვა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება.

ალექსანდრია— ლევიტინა

მეათე პარტია

4 დეკემბერს დუბნაში ნ. ალექსანდრია — ი. ლევიტინას მატჩში დასკვნითი, მეათე პარტია გათამაშდა.

ამ შეხვედრაში ალექსანდრიას ყაიმიც აძლევდა ხელს მატჩის მოსაგებად, ამიტომ მან სოლიდური ახალინდური დაცვა აირჩია, მაგრამ შემდგომ უსაფუძვლოდ დაასუსტა მეფის ფრთა (მე-11 სვლა) და თეთრებს საშუალება მისცა ცენტრი დაეპყროთ. ლევიტინამ დროულად ისარგებლა შავი მეფის პოზიციის დალაშქვრის შესაძლებლობით h ვერტიკალის გახსნისა და ცენტრის ჩაკეტვის შემდეგ ლენინგრადელი დიდოსტატი მხედრის ლამაზი შეწირვით (21-ე სვლა) მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას. ალექსანდრია დაცვაზე გადავიდა და ლაზიერების გაცვლაც შეძლო, მაგრამ ლევიტინამ პაიკებით შეუტია შავების მეფეს. იერიშის მოსაგერიებლად ალექსანდრიამ მატერიალური მსხვერპლი გაიღო. პარტია გადაიდო.



ამ პოზიციაში საიდუმლო, 42-ე სვლა ჩაწერა ლევიტინამ. მისი უპირატესობა ეჭვს არ იწვევს.

ლევიტინა — ალექსანდრია

ახალინდური დაცვა

1. მf3 მf6 2. c4 b6 3. g3 კb7 4. კg2 e6 5. მc3 კe7 6. d4 მe4 7. კd2 კf6 8. 0—0 0—0 9. ეc1 მ×d2 10. ლ×d2 d6 11. ლc2 g6 12. ეcd1 მd7 13. e4 ლe7 14. ეfe ეfd8 15. h4 კg7 16. h5 ლf8 17. h×g6 h×g6 18: მg5 c5 19. d5 e×d5 20. c×d5 მf6.



21. მe6 f×e6 22. d×e6 ლe7 23. კ×b7 ლ×b7 24. ლ×g6 ლe7 25. g4 ეf8 26. f4 ლe8 27. ლ×e8 მ×e8 28. მd5 კ×b2 29. g5 მფg7 30. ეf1 ეb8 31. f5 ეb7 32. ეd3 კe5 33. მფg2 b5 34. f6+ მფg6 35. c×b5 მფ×g5 36. f7 c4 37. ეdf3 მg7 38. e7 ე×e7 39. მ×e7 c3 40. მc6 c2 41. მ×e5 d×e5 პარტია გადაიდო.

გუშინ, 5 დეკემბერს ალექსანდრიამ თამაშის განუახლებლად დათმო პარტია, ანგარიში გათანაბრდა — 5:5. შეჯიბრების რეგლამენტით მეტოქენი კიდევ ოთხ პარტიას გაითამაშებენ. დღეს, 6 დეკემბერს გაიმართება ახალი, მიკრო-მატჩის პირველი პარტია. თეთრი ფიგურებით ითამაშებს ლევიტინა.

კასპაროვი შტევს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ 4 დეკემბერს ლონდონში განახლდა პრეტენდენტ ვაჟთა ნახევარფინალური მატჩები. ამ დღეს მეექვსე პარტიის სათამაშოდ დაფას მიუსხდნენ გ. კასპაროვი და ვ. კორჩნოი.

ლაზიერის პაიკის წინსვლაზე კასპაროვმა შავებით თავისი საყვარელი ტარაშის დაცვა გათამაშა, მე-12 სვლაზე მეტოქეს ლაზიერი გაუცვალა და პარტია საინტერესო ენდშპილში გაგრძელდა. შემდგომ კასპაროვმა მსხვერპლის (პაიკი) გაღებით ლაზიერის ფრთაზე ორი გამსვლელი გადაბმული პაიკი მიიღო. როცა ამ პაიკებმა წინსვლა განაგრძეს მეტოქის ტერიტორიაზე, მან გაბედულად შესწირა ხარისხი. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო ამ მდგომარეობაში:



საიდუმლო სვლა ჩაიწერა კასპაროვმა.

აი, თვით პარტიაც:

კორჩნოი — კასპაროვი

ტარაშის დაცვა

1. d4 d5 2. c4 e6 3. მf3 c5 4. c×d5 e×d5 5. g3 მc6 6. კg2 მf6 7. 0—0 კe7 8. კe3 c4 9. მe5 0—0 10. b3 c×b3 11. ლ×b3 ლb6 12. ეc1 ლ×b3 13. a×b3 მb4 14. მa3 a6 15. კd2 ეb8 16. კ×b4 კ×b4 17. მd3 კd6 18. მc2 კg4 19. მფf1 კf5 20. მc5 ეfc8 21. მe3 კe6 22. b4 მფf8 23. ეc2 მფe7 24. მფe1 h5 25. ეb2 ეc7 26. მd3 ეa8 27. b5 a5 28. b6 ეc6 29. ეb5 a4 30. მ×d5+ მ×d5 31. კ×d5 კ×d5 32. ე×d5 ე×b6 33. ე×h5 ეb3 34. მფd2 b5 35. h4 ეc8 36. g4 a3 37. f3 ეcc3 38. ეd5 მფe6 39. ეh5 b4 40. ეa5 ე×d3+ 41. e×d3 პარტია გადაიდო.

ჯერჯერობით კვლავ წინაა კორჩნოი — 3:2.

● ჭადრაკი

ლიდერი შეიცვალა

ვილნიუსში, სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატში 12 ტურის შემდეგ ლიდერი შეიცვალა: დაწინაურდა ლ. მუჩნიკი (ნიკოლაევი), რომელმაც სამივე გადადებული პარტია მოიგო და 9,5 ქულა მოაგროვა.

ასევე სამი გადადებული პარტია (ეიდელსონთან, ახშარუმოვასთან. ხუგაშვილთან) მოიგო ბიჭვინთელმა დიდოსტატმა ე. ახმილოვსკაიამ, რომელსაც 9 ქულა ქულა აქვს. იგი მეორე ადგილზეა.

8,5 ქულა მოაგროვა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელმაც წააგო ეროსლანოვასთან და მოუგო ბაგინსკაიტეს. ნ. გურიელს 8 ქულა აქვს.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

კვლავ გეორგიევა

ბუდაპეშტი. ახლახან მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატის აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულმა 18 წლის ბულგარელმა სტუდენტმა დილიანა გეორგიევამ ყველას აჯობა „ინტერვიზიის თასის“ გათამაშებაშიც — 39,65. გამარჯვებულს 0,1 ქულით ჩამორჩა ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ვილნიუსელი დალია კუტკაიტე. III ადგილზე გავიდა რუმინელი ტანმოვარჯიშე დოინა სტაკულესკუ — 39,05.

გეორგიევამ ბურთით ვარჯიშში ტურნირის უმაღლესი შეფასება — 10 ქულა დაიმსახურა.

იუნიორების ასპარეზობაში, ისევე როგორც გასულ წელს, პირველი იყო 14 წლის ომსკელი მოსწავლე ტატიანა დრუჩინინა — 29,05 (უფროსებისგან განსხვავებით ნორჩი ტანმოვარჯიშეები სამ სახეობაში გამოდიოდნენ). მეორე იყო ბულგარელი კამელია დუნავსკა — 28,90, მესამე — რუმინელი ანკა დიმიტრესკუ — 28,40.

საკდესი.

ჯილდოები ღირსეულთ

1948 წლის 21 ივლისს შეიქმნა საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვები", დამტკიცდა წესდება და შეიქმნა საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

ამ 40 წლის მანძილზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურმა საბჭომ, რომელიც მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობისთვის არაერთხელ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით. 1982 წლის სპორტული მაჩვენებლების მიხედვით ქვეყანაში 1 ადგილი მოიპოვა. საკავშირო სპორტკომიტეტმა კარგი მუშაობისათვის ნიშნით „ფიზიკური კულტურისა და სპორტის წარჩინებული" დააჯილდოვა თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი ი. ნიკოლაძე, თბილისის №36 პროფტექსასწავლებლის დირექტორი ე. სოლომონია. სამკერდე ნიშნით „სსრ კავშირის პროფტექგანათლების წარჩინებული" დაჯილდოვდნენ № 67 პროფტექსასწავლებლის ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. გრძელიძე და თბილისის № 36 პროფტექსასწავლებლის ფიზკულტურის მასწავლებელი ე. აზიზოვა. დღეს სწორედ ამ ადამიანებზე გვექნება საუბარი.

დირექტორი

ეთერ სოლომონიას შრომითი ბიოგრაფია ყოველმხრივი მოწონების ღირსია. დაამთავრა რა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი, 1947 წლიდან მუშაობა დაიწყო აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში მქსოველად, სადაც 28 წელი იმუშავა. ჯერ ორ დაზგაზე მუშაობდა, შემდეგ თანდათან გაიზარდა დაზგების რაოდენობა და ბოლოს 24-მდე ავიდა. წარმოებიდან მოუწყვეტლივ მან დაამთავრა მუშა-ახალგაზრდობის სკოლა. შემდეგ კი სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1957 წელს იგი სათავეში ჩაუდგა თბილისის № 36 პროფტექსასწავლებელს და ერთდროულად ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. სასწავლებელი არაერთგზის იყო საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული, 1976 წელს კი რესპუბლიკაში პირველმა მოიპოვა საკავშირო სპორტკომიტეტის „მშთ-ს საპატიო ნიშანი".

სასწავლებელში სპორტული მუშაობა ჩვეულებრივ ცურვით იწყება. ყველა ახალგაზრდა ცურვის „უნივერსიტეტს" გადის „შრომითი რეზერვების" აუზში, შემდეგ კი აბარებენ მშთ ნორმატივს. ჩამორჩენილებისთვის საერთო ფიზიკური მომზადების სპეციალური ჯგუფებია შექმნილი. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ დროს ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა თვით დირექტორი. ყოველი მოსწავლე წლის განმავლობაში 10-12 შეჯიბრებაში მონაწილეობს, ეს კი დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის ე. სოლომონიას დამსახურებაა.

მწვრთნელი

მოსწავლეების მიმართ ყურადღება და კეთილი განწყობა — აი, „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა უფროსი მწვრთნელის ვანო ნიკოლაძის კრედო. საზოგადოებაში მუშაობის 10 წლის მანძილზე მან სპორტული ცხოვრების საგზური მისცა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს (ჭაბუკთა და იუნიორთა შორის) ლ. ხაბელოვს, ჭაბუკთა შორის ქვეყნის ჩემპიონსა და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულს ა. გოგოლაშვილს, იუნიორთა საკავშირო პირველობის პრიზიორებს გ. გალდავას, მ. რაზმაძეს და სხვებს. იგი თავის აღსაზრდელებს პირველ რიგში ასწავლის პატიოსნებას. ვანო ამჟამად ხელმძღვანელობს აგრეთვე 118-ე სკოლის სპეციალურ კლასს და № 5 პროფტექსასწავლებლის სპორტული განხრის ერთ-ერთ ჯგუფს.

ფიზაღზრდის ხელმძღვანელები

თბილისის № 36 პროფტექსასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს კალათბურთში, ელიზაბეტა აზიზოვას კარგად იცნობენ ქვეყნის სპორტულ სამყაროში. შევახსენებთ მხოლოდ, რომ ერთ-ერთ რიგით სასწავლებელში ახლა 80-95 პირველთანრიგოსანი მზადდება, შარშან კი ორი სპორტის ოსტატობის კანდიდატიც მომზადდა.

კომუნისტ ვარლამ გრძელიძეს დეკემბერში 60 წელი უსრულდება. სპორტმა ხელი შეუწყო მას დაეძლია დიდი სამამულო ომის სიმძიმე...

ყოფილი ფრონტელი ქუთაისის № 67 პროფტექსასწავლებლის სპორტული მუშაკი გახდა. სასწავლებელმა ორჯერ გაიმარჯვა საზოგადოების რესპუბლიკურ სოცშეჯიბრებაში და ერთხელ საკავშირო სოცშეჯიბრებაში. 1980-82 წლებში ვ. გრძელიძე საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა „შრომითი რეზერვების" ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. იგი ტურიზმისა და სპორტულ ორიენტირებაში საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ყველა ზონალური შეჯიბრების მთავარი მსაჯია.

ე. ბენდუქიძე.

● მშვილდოსნობა

ოლიმპიური ჩემპიონის პრიზზე



თბილისის ზამთრის მძლეოსნობის მანეჟში (ვაკეში) ჩატარდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ქეთევან ლოსაბერიძის სახელობის პრიზზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 მოკავშირე რესპუბლიკის 90-ზე მეტი სპორტსმენი. პროგრამაში შეტანილი იყო მხოლოდ მ-2 ვარჯიში (288 ისრის ტყორცნა ოთხ დისტანციაზე), რომელიც თითოეული მონაწილისაგან მოითხოვს მაღალ ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებას. უნდა ითქვას, რომ მშვილდოსნებმა კარგად გაართვეს თავი ამ ძნელ ამოცანას. ოთხდღიანი ბრძოლის შემდეგ ლიდერთა სამეული ასე განაწილდა: 1. უკრაინა — 14754 ქულა, 2. ბელორუსია — 14493, 3. რსფსრ — 14427.

დაძაბულად და საინტერესოდ ჩაიარა პაექრობამ როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ვაჟთა შორის სამმა გადალახა 2500-ქულიანი ზღვარი. უძლიერესის წოდება მოიპოვა ლვოვის პედიატრიისა და მეანობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ი. პროკოპიევმა (2586 ქულა). II და III საპრიზო ადგილები შესაბამისად დაიკავეს სპორტის ოსტატებმა ბრესტის სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა ა. შიხოვმა (2518) და მოგილიოვის № 4 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ა. პლასკონმა (2507). წარმატებად უნდა მივიჩნიოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საღრიცხვო-ეკონომიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის, სპორტის ოსტატის შ. წიბლიაშვილის გამოსვლა (მწვრთნელი გ. დავითაშვილი). იგი 2443 ქულით IX ადგილზე გავიდა. ამას გარდა, შალვამ 30 მეტრზე ერთჯერად (346 ქულა) და ორჯერად (692, 346-346) სროლაში რესპუბლიკის იუნიორთა 2 რეკორდი დაამყარა, 2X30 მეტრის ჯამში კი ვერცხლის მედალი მოიხვეჭა.

ქალთა შორის ასპარეზობა გამწვავდა შეჯიბრების ბოლო, მეოთხე დღეს. შედეგების დაჯამების შემდეგ გამოირკვა, რომ ორმა მშვილდოსანმა დააგროვა ქულათა თანაბარი რაოდენობა — 2467-2467. ასეთ შემთხვევაში იმარჯვებს ის, ვინც სამიზნის „გულში" მეტ ათიანებს მოახვედრებს. ამის მიხედვით პირველი ადგილი წილად ხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული კლუბის წევრს, თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეს, სპორტის ოსტატ ი. გრებენიკოვას, რომელსაც ავარჯიშებს მამამისი იგორ გრებენიკოვი. II ადგილზე გავიდა მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სპორტის ოსტატი ე. სმოროდინა (2464). ლიდერებთან 24 ქულა წააგო და მესამე ადგილს დასჯერდა ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ო. პროცი. თბილისელი მოსწავლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ყველაზე გრძელ დისტანციაზე — 70 მეტრზე ერთჯერად (320) და ამავე მანძილზე ორჯერად (596, 276-320) სროლაში საქართველოს ორი ძველი უმაღლესი მიღწევა გააუმჯობესა ქალიშვილებისათვის.

თუ პირად ჩათვლაში საქართველოს „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს, სამწუხაროდ, საერთო გუნდურ ჩათვლაში ისინი არადამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ. საქმე იმაშია, რომ ქალთა ნაკრებს წევრი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ლ. მაჩაბლიშვილი რატომღაც შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ კოლექტივმა საშუალოდ 2330 ქულა დაკარგა და საერთო გუნდურ პირველობაში 11427 ქულით V ადგილზე აღმოჩნდა. იმედია, რომ მომხდარ ფაქტზე უახლოეს ხანში იმსჯელებს „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი და ლ. მაჩაბლიშვილის არასპორტული საქციელის გამო მიღებული ზომების შესახებ რედაქციას აცნობებს.

რ. კაცობაშვილი,
თ. ტერუნაშვილი.

* * *

სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ქ. ლოსაბერიძე აჯილდოებს გამარჯვებულებს.

ვიშნიაკოვას „ავანსი"

„**შრომითი რეზერვების**" II პლენუმზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ითქვა: „...პროფტექგანათლების სისტემის საკავშირო სპარტაკიადებს XIV ადგილიდან ჩვენმა გუნდმა IV ადგილზე გადმოინაცვლა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს მწვრთნელებს, განსაკუთრებით თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, კრივში, ველოსპორტში, აკრობატიკასა და მხატვრულ ტანვარჯიშში..." სხვებთან ერთად დაასახელეს მხატვრულ ტანვარჯიშეთა ახალგაზრდა მწვრთნელი, სპორტის ოსტატი მ. ვიშნიაკოვა.

მარინას 15 წელია ვიცნობ, მას ვიღებდი ჯერ კიდევ V კლასის მოსწავლეს, როცა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. სალუქვაძემ თვალი დაადგა როგორც ნიჭიერ, პერსპექტიულ სპორტსმენს. მარინა არაერთხელ გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი, როგორც მოსწავლეთა, ისე მოზრდილთა შორის. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაიწყო 22 წლის მარინა ვიშნიაკოვას საწვრთნელი მოღვაწეობა. ჩვენი ქალაქის არაერთ საშუალო სკოლაში ეძებდა იგი ნიჭიერ გოგონებს. და აი, ერთ-ერთმა მისმა აღზრდილმა ე. შირინკინამ უკვე მიიქცია ყურადღება. 138-ე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის წარჩინებული მოსწავლე სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრია. აი, ასეთი სასიამოვნო „ავანსით" დაიწყო ახალგაზრდა მწვრთნელის მ. ვიშნიაკოვას სამწვრთნელო საქმიანობა. ამჟამად „შრომითი რეზერვების" მხატვრული ტანმოვარჯიშეები ენერგიულად ემზადებიან პროფტექგანათლების სისტემის XVII საკავშირო სპარტაკიადისათვის, რომელიც გაისად, აგვისტოში თბილისში გაიმართება. ვიმედოვნებთ, რომ გოგონები ეცდებიან წარმატებით გამოვიდნენ მშობლიურ ქალაქში.

ვ. ბუკინი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათზე: მ. ვიშნიაკოვა ნორჩ სპორტსმენთან ერთად.

ავტორის ფოტო.

● თანამედროვე ხუთჭიდი

ასპარეზობენ იუნიორები

თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა საქართველოს ღია პირადგუნდური პირველობა იუნიორებსა (1962-1964 წლებში დაბადებულნი) და ჭაბუკებს (1965-1968) შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" (ორ-ორი გუნდი), აგრეთვე ბაქოს „ნეფთჩის" ხუთჭიდელები.

იუნიორთა შორის გამარჯვება მოიპოვა ბურევესტნიკელმა სპორტის ოსტატმა ვ. იაგორაშვილმა (მწვრთნელი ი. ლუცენკო) — 5516 ქულა. იგი პირველი იყო აგრეთვე ფარიკაობაში, ცურვასა და 3000 მეტრზე სირბილში. მეორე ადგილზე გავიდა გ. გოგუაძე (5165), მესამეზე — გ. გოგოლაძე (4899). ორივე სპორტსმენი დინამოელია, მათ ავარჯიშებს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი თ. ჯეჯელავა.

ცალკეულ სახეობებში გამარჯვება მოიპოვეს „დინამოს" წარმომადგენლებმა ვ. სიროტკინმა (ტყვიის სროლაში) და გ. მამაჯანოვმა (ცხენოსნობაში). ამ სახეობაში ქალთა შორის ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა მათმა თანაგუნდელმა ეთერ გონგაძემ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. კრავჩენკო).

ჭაბუკებში პირველი იყო ბაქოელი ი. პროსკურინი — 4795, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად დინამოელები ე. კორითნელი (4790) და ვ. სიროტკინი (4631) გავიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული კოლექტივები ასე განლაგდნენ: „დინამო-1", „დინამო-II", „ბურევესტნიკი-I".

— კმაყოფილი ხართ თუ არა შეჯიბრების შედეგებით? — შეკითხვით მივმართეთ ასპარეზობის მთავარ მსაჯს, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრს **ივანე ლუცენკოს:**

— თუ მხედველობაში არ მივიღებთ იაგორაშვილისა და გოგუაძის შედეგებს, დანარჩენების გამოსვლით, ცხადია, არა ვართ კმაყოფილნი. გულისტკივილით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ღია პირველობას, ბაქოელებთან ერთად მხოლოდ თბილისის ორი გუნდი ეცილებოდა. კარგა ხანია მომწიფდა საკითხი გაიხსნას რესპუბლიკაში ბავშვთა და მოზარდთა თანამედროვე ხუთჭიდის სკოლა, სადაც შესაძლებლობა გვექნება ცენტრალიზებული წესით აღვზარდოთ ნორჩი სპორტსმენები.

გ. დოლენჯაშვილი.

სურათებზე: ვ. იაგორაშვილი, ეთერ გონგაძე, გ. გოგუაძე და გ. გოგოლაძე.

ავტორის ფოტოები.

„სპარტაკი" — „სპარტა"

უეფა-ს თასის მატჩი ჩვენს სტადიონზე

ხვალ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი — მოსკოვის „სპარტაკი" და ჰოლანდიის ქალაქ როტერდამის „სპარტა".

სანამ უშუალოდ დღევანდელი მატჩის მონაწილეებზე ვილაპარაკებდით, ზედმეტად არ მიგვაჩნია შევახსენოთ, რომ ევროპის საკლუბო ტურნირების 1983-1984 წლების გათამაშება ჰოლანდიამ დიდი წარმომადგენლობით დაიწყო. ამ ქვეყნიდან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, თასების მფლობელთა თასზე და უეფა-ს თასზე ჩაება 6 გუნდი.

რატომ 6 გუნდი? ევროპის ყველა ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციას კანონით ერგება თითო ადგილი ჩემპიონთა თასზე, თასების თასზე და უეფა-ს თასზე, მაგრამ ჰოლანდიელებს დიდი დამსახურება აქვთ სწორედ ევროპის საკლუბო ტურნირებში, მათი მაჩვენებელი კოეფიციენტების ცხრილში ერთობ მაღალია და ამის შესაბამისად ამ ქვეყანას მეტი ადგილი ეთმობა უეფა-ს თასზე. ჯერ კიდევ 1970 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო როტერდამის „ფეიენოორდმა", შემდეგ, 1971-73 წლებში, ამ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა ამსტერდამის „აიაქსმა", სადაც მაშინ თამაშობდა ბრწყინვალე ფეხბურთელი ი. კრუიფი.

წლეულს სექტემბერში, როცა დაიწყო ევროპის საკლუბო ტურნირები, სწორედ ის „აიაქსი" იყო ერთადერთი გუნდი, რომელიც ჰოლანდიის კლუბებიდან გამოეთიშა შეჯიბრებას, თანაც I ტურში „აიაქსს" საკმაოდ სუსტი მეტოქე ჰყავდა საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" სახით. ჰოლანდიელებმა შინ ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეს (0:0), საპასუხო შეხვედრა კი ათენში წააგეს ანგარიშით 0:2, მაგრამ ამ ტურში თასების თასზე გაიმარჯვა „ნიმეგენმა", ხოლო უეფა-ს თასზე „ეინდჰოვენმა", „გრონინგენმა", „ფეიენოორდმა" და „სპარტამ".

განვლო II ტურის მატჩებმა და ჰოლანდიის 5 დარჩენილი გუნდიდან ერთბაშად 4 გამოეთიშა გათამაშებას. დამარცხდნენ „ნიიმეგენი", „გრონინგენი", „ეინდჰოვენი", „ფეიენოორდი" და შეჯიბრებას შემორჩა მხოლოდ ერთი გუნდი, სწორედ როტერდამის „სპარტა", რომელმაც ხვალ უნდა ითამაშოს ჩვენს სტადიონზე მოსკოვის სპარტაკელთა წინააღმდეგ.

ასე რომ, როტერდამის „სპარტა" ახლა ჰოლანდიელთა ერთადერთი წარმომადგენელია ევროპის საკლუბო ტურნირების ასპარეზზე და მათი მთელი იმედებიც მასზეა დამყარებული.

როტერდამის „სპარტა" ჰოლანდიისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი პროფესიული კლუბია, იგი ჩამოყალიბდა 1888 წელს. თავისი არსებობის დიდი ხნის მანძილზე „სპარტას" 2 აშკარა აღმავლობის პერიოდი ჰქონდა. პირველი, უდავოდ, უძველეს ხანას მიეკუთვნება: 1908 წელს „სპარტამ" მოიგო ჰოლანდიის თასი, 1909, 1911, 1912, 1913 და 1915 წლებში კი თავისი ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

შემდეგ დადგა აღმავლობის მეორე პერიოდი: თავისი პირველი წარმატების ნახევარი საუკუნის იუბილეს წელს „სპარტამ" კვლავ მოიპოვა ჰოლანდიის თასი, 1959 წელს მოიგო ჩემპიონობა, ხოლო 1962 და 1966 წლებში კვლავ დაეუფლა თასს.

მართალია, „სპარტამ" წლეულს ჰოლანდიის სხვა კლუბებთან შედარებით გაცილებით უკეთ ითამაშა ევროპულ ასპარეზზე, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში იგი მაინც ჩამორჩება ამ ქვეყნის უძლიერეს გუნდებს და ამჟამად მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატშიც მხოლოდ ცხრილის შუაგულში იმყოფება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „სპარტა" პოპულარობით სარგებლობს ჰოლანდიაში და მეტად სტაბილური, მყარი მაჩვენებლებიც გააჩნია. ჩვენ გვახსოვს როტერდამის „სპარტას" და მოსკოვის „სპარტაკის" პირველი მატჩი როტერდამში, მაშინ მასპინძლებმა ძალზე ძლიერად ითამაშეს და თითქმის მთელი მატჩის მსვლელობაში ეპყრათ ტერიტორიული უპირატესობა. გუნდის მოთამაშეთაგან დაგვამახსოვრდნენ რიკერინგ, ეიერი, დ. ვოლფი, ვან დერ ბერგი, ვან ჰაალი, ნოორტვაიკი, ჰანგ კეეკი — ახალგაზრდა, ათლეტური, დიდი შემართების მქონე ფეხბურთელები და რახან „სპარტა" ახლა ჰოლანდიელთა ერთადერთი იმედია ევროპულ საკლუბო ტურნირში, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ხვალინდელ საპასუხო მატჩში მაქსიმალური შესაძლებლობით იბრძოლებს მეოთხედფინალში თამაშის უფლების მოსაპოვებლად.

როტერდამის „სპარტამ" ხვალინდელ მატჩამდე ევროპულ საკლუბო ტურნირებში სულ 27 ოფიციალური მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 13 მოიგო, 6 ფრედ დაამთავრა და 8 წააგო გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი შეფარდებით 60:34.

ამჟამად მიმდინარე უეფა-ს თასის გათამაშებაში როტერდამის „სპარტამ" I ტურში დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის „კოლრეინი" — 4:0, 1:1 და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „კარლ ცაისი" — 3:2, 1:1.

ხვალინდელ მატჩში მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე იმყოფება მოსკოვის „სპარტაკიც". რა თქმა უნდა, სპარტაკელები საპასუხო მატჩს შინ რომ თამაშობენ, ეს გარკვეული სპორტული ფორაა. მათ კონკრეტულად იციან: რა ანგარიშითაც არ უნდა გაიმარჯვონ, გადიან მეოთხედფინალში, სპარტაკელებს 2 მატჩის ჯამში წარმატება ექნებათ იმ შემთხვევაშიც, თუ ფრედ ითამაშებენ ნულოვანი ანგარიშით, — თუ კი მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1, დაინიშნება დამატებითი დრო და შემდეგ — დამატებითი პენალტები, მაგრამ თუ თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:2 (3:3 და ა. შ.), მეტოქის მინდორზე გატანილი მეტი ბურთი წარმატებას მოუტანს ჰოლანდიელებს.

მოსკოვის „სპარტაკი", თუმცა იგი იმდენი ხნის არაა, რაც როტერდამის „სპარტა", გაცილებით ხშირად მონაწილეობდა ევროპის საკლუბო გათამაშებებში. მას უთამაშია ჩემპიონთა თასზეც, თასების მფლობელთა თასზეც და უეფა-ს თასზეც, სულ ჩატარებული აქვს 45 მატჩი, რომელთაგან 24 მოიგო, 9 თამაში ფრედ დაამთავრა და 12 წააგო (ბურთების შეფარდება 76:50). უეფა-ს თასის წლევანდელ გათამაშებაში „სპარტაკმა" I ტურში ანგარიშით 2:0 და 5:0 დაამარცხა ფინეთის ჰიკ-ი, შემდეგ კი უაღრესად მძიმე ბრძოლაში გამოგლიჯა გამარჯვება საქვეყნოდ აღიარებულ ინგლისის „ასტონ ვილას" (ქ. ბირმინგემი). მოსკოვში ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ (2:2) სპარტაკელებმა ბირმინგემში ბრწყინვალედ ითამაშეს და ეს მეტად ძლიერი მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 2:1.

„სპარტასთან" როტერდამში ფრედ დამთავრებული მატჩი (1:1) საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოსკოველი ფეხბურთელები ხვალ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ და მოიპოვებენ მეოთხედფინალის საგზურს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ უეფა-ს თასის გათამაშებაში (ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის ტურნირებისგან განსხვავებით) ჯერ არც ერთი საბჭოთა გუნდი არ გასულა მეოთხედფინალში, ამიტომ ყველანი ველით, რომ ამას შეძლებენ სპარტაკელები. მათ ეს უნდა გააკეთონ ჩვენს სტადიონზე, სადაც მაყურებლებისგან არ დააკლდებათ მხარდაჭერა და გამხნევება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სპარტაკელთა კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა უეფა-ს თასის მერვედფინალის ეს საპასუხო მატჩი ჩაატაროს თბილისის „დინამოს" სტადიონზე და 1981 წელსაც, როცა მოსკოვის „სპარტაკი" ჩემპიონთა თასზე ხვდებოდა მადრიდის „რეალს", მერე კი მომდევნო წელს უეფა-ს თასზე „ვალენსიასაც" თბილისში უმასპინძლა.

მოსკოვის „სპარტაკი" 10-ჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, 9-ჯერ ფლობდა ჩვენი ქვეყნის თასს, მრავალგზის გასულა საპრიზო ადგილებზე და წლეულსაც ვერცხლის მედლები მოიპოვა. მის რიგებში გამოდიან მეტად ძლიერი, გამოცდილი, მაღალი კლასის ფეხბურთელები. ვიმედოვნებთ, „სპარტაკი" გაგვიმართლებს იმედებს.

• • •



სურათზე: მოსკოვის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, სსრ კავშირის ნაკრების მეკარე რ. დასაევი თამაშის დროს.

უკანასკნელ 22:30 საათს

გუშინ რედაქციაში მივიღეთ საკდესის ახალი ცნობა ჰოლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის შესახებ.

როტერდამის „სპარტა" შეხვდა ამსტერდამის „აიაქსს" და მარცხი განიცადა ანგარიშით 0:4. მიუხედავად ასეთი დიდი სხვაობისა, მატჩი ჩატარდა საინტერესო ბრძოლაში.

15 ტურის შემდეგ „სპარტას" 14 ქულა აქვს და X ადგილზე იმყოფება, ხოლო ჩემპიონატს ლიდერობენ „ფეიენოორდი" — 26 ქულა და „აიაქსი" — 25 ქულა.

„ოქროს ბუცის" პრეტენდენტები

ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის" ჯილდო „ოქროს ბუცი" ამას წინათ გადაეცა პორტუგალიელ ფეხბურთელს გომეშს, ახლა კი მიმდინარეობს ბრძოლა ახალი, 1983-84 წლების „ოქროს ბუცისთვის". 12 მატჩის შემდეგ 14 გატანილი ბურთით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს ჰოლანდიელ ვან ბასტენს („აიაქსი"), რომელსაც პრესა „ახალ კრუიფს" უწოდებს. მომდევნო ადგილებზე არიან ერანოსიანი (პლოვდივის „ლოკომოტივი") — 12 ბურთი 10 მატჩში, უნგრელი ნილაში (გამოდის ვენის „აუსტრიაში") —11 ბურთი 11 მატჩში, ქენგინი („მონაკო") — 11 ბურთი 16 მატჩში და ა. შ.

ჟ. აველანჟი ბულგარეთში

ფიფა-ს პრეზიდენტი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ჟ. აველანჟი ამას წინათ იყო ბულგარეთში, სადაც მას გადასცეს ბულგარეთის დამოუკიდებლობის საიუბილეო მედალი. პრეზიდენტმა ინტერვიუ მისცა სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის" კორესპონდენტს.

— ფიფა სისტემატურად ამდიდრებს თავის სპორტულ კალენდარს, — განაცხადა პრეზიდენტმა, — უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, პირველ მსოფლიო ჩემპიონატს 14–16 წლის ყმაწვილებისათვის 1985 წელს გავმართავთ ჩინეთში, ხოლო მეორე ასეთი შეჯიბრება 1987 წელს მოეწყობა კანადაში. გეგმაში გვაქვს მსოფლიო ჩემპიონატი დარბაზებში, აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის, რომელიც იაპონიაში ჩატარდება.

პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ ბულგარეთმა პირველი ნაბიჯები გადადგა ქალთა ფეხბურთის განვითარების საქმეში, ბევრი ღონისძიებაა გათვალისწინებული ფიფა-ს დაარსების 80 წლისთავის დღეებშიც, რომელიც 1984 წლის მაისში აღინიშნება ციურიხში.

პრეზიდენტს ჰკითხეს, თუ რა აზრისაა იგი იმ ექსპერიმენტებზე, რომლებსაც ფეხბურთის სპეციალისტები თუ ჟურნალისტები სთავაზობენ ფიფა-ს. აველანჟმა უპასუხა, რომ ფიფა-მ ამ წინადადებათა შესაბამისად ჩაატარა 4 ასეთი ექსპერიმენტი, მაგრამ მათი შედეგები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

ჟ. აველანჟმა აღნიშნა, რომ ფიფა ყოველნაირად ცდილობს დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, ამ ქვეყნებში სისტემატურად ჩადიან მწვრთნელები, მსაჯები, ინსტრუქტორები, ატარებენ ხანგრძლივ შეკრებებს, სემინარებს. 1984 წელსაც 16 ასეთი სემინარია დაგეგმილი. სულ ფიფა-ს შემწეობით განვითარებად ქვეყნებში 28 ათასი ფეხბურთის სპეციალისტი მომზადდა.

რა თქმა უნდა

— შტრაიხი

გდრ-ის სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად ამ ქვეყნის № 1 ფეხბურთელად აღიარეს 32 წლის ცენტრალური თავდამსხმელი შტრაიხი („მაგდებურგი" და ეროვნული ნაკრები).

შტრაიხმა ნაკრებში 96 მატჩი ჩაატარა, ამ მხრივ დაეწია ეროვნულ რეკორდსმენს, წარსულში განთქმულ მეკარე კროის და, მიმომხილველთა აზრით, გაისად „ასიანთა კლუბში" შევა.

მოკლედ

იტალია. ეროვნული ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი გაიმართა რომში ადგილობრივ „რომასა" და ტურინის „იუვენტუსს" შორის. პირველი ტაიმის უშედეგო თამაშის შემდეგ მეტოქეებმა გააძლიერეს იერიშები და 2-2 ბურთი გაიტანეს, ამასთან „რომა" აგებდა და მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლო ანგარიშის გაქვითვა — 2:2.

11 ტურის შემდეგ წინაა „იუვენტუსი" — 15 ქულა. მას ქულით ჩამორჩებიან „ფიორენტინა", „რომა", „ვერონა", „ტორინო" და „სამპდორია".

ესპანეთი. დაწინაურდა მადრიდის „რეალი", რომელმაც ანგარიშით 1:0 დაამარცხა „მურსია". 14 ტურის შემდეგ „რეალს" 19 ქულა აქვს, 17-17 ქულა დააგროვეს „ბარსელონამ", „სარაგოსამ" და ბილბაოს „ატლეტიკმა".

პორტუგალია. ჩემპიონატის განვლილ 10 ტურში ლისაბონის „ბენფიკას" არც ერთი მატჩი არ წაუგია. გასულ ტურში „ბენფიკამ" ანგარიშით 2:1 დაამარცხა „ბოავისტა" და 19 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა „პორტო" — 18 ქულა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიწვევთ სპორტის სასახლეში

დასასრული

ყოველივე ზემოთქმული და ჩვენი სპეციალისტების ენთუზიაზმი იმის გარანტიას იძლევა, რომ ქართული ხელბურთის მომავალს ოპტიმისტურად შევხედოთ.

● **რას უსურვებთ თბილისის საერთაშორისო ტურნირსა და მის მონაწილეებს?**

— ყოველი საერთაშორისო ტურნირი სპორტის ნებისმიერ სახეობაში არის ხალხთა დაახლოების, მათი დამეგობრების მშვენიერი საშუალება და, ცხადია, ჩვენს ტრადიციულ შეჯიბრებასაც ამ კუთხით ვუყურებთ.

დღეს მშვიდობისათვის ბრძოლა ყველა პატიოსანი ადამიანის ვალია, და სასიხარულოა, რომ თბილისის ტურნირის მონაწილეებსაც თავისი წვლილი შეაქვთ ამ საქმეში. ვისურვებ, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირმა შეასრულოს ეს დიდი მისია, ხოლო მონაწილეებს ვუსურვებ ლამაზ, საინტერესო ხელბურთის ჩვენებას და კარგ გუნება-განწყობილებას!

ერთი სურვილი მაქვს: თუ დღეს არა, იქნებ ხვალ მაინც ეზეიმოს ჩვენს გუნდს „ზარია ვოსტოკას“ პრიზის პირველი ლაურეატობა.

* * *

მაშ ასე, დღეს პირველი მატჩებია:

18.00 სთ — იუგოსლავია — პოლონეთი

19.30 სთ — ტურნირის საზეიმო გახსნა

20.00 სთ — სსრ კავშირი — საქართველო.

გთავაზობთ დანარჩენი დღეების თამაშების კალენდარსაც:

7 დეკემბერი. 15.00 სთ — ესპანეთი — სსრ კავშირი

16.30 სთ. — საქართველო — იუგოსლავია

8 დეკემბერი. 18.30 სთ — იუგოსლავია — ესპანეთი, 20.00 სთ — პოლონეთი — საქართველო.

9 დეკემბერი. 18.30 სთ — ესპანეთი — პოლონეთი, 20.00 სთ — სსრ კავშირი — იუგოსლავია.

10 დეკემბერი. 18.30 სთ. — პოლონეთი — სსრ კავშირი, 20.00 სთ — საქართველო — ესპანეთი.

ოლიმპიური ჩემპიონის

დონის როსტოვი. არმიელი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშება ცურვაში.

ტურნირის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ეპიზოდი გახლდათ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვა, სადაც პირველი იყო ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სალნიკოვი — 3.56,4.

ჩვენიც იყო...

არასოდეს ყოფილა ჩემპიონი, დიდი სპორტსმენი, მაგრამ ისინიც აფასებდნენ, თავისიანად თვლიდნენ, დიდი სპორტული ოჯახის წევრად ჰყავდათ მიჩნეული.

დიახ, ფიზკულტურა და სპორტი საერთოდ წარმოუდგენელია სხვა დარგების მუშაკთა ღვწის გარეშე — ისინიც ხომ, ჩვენთან ერთად ქმნიან სპორტის ისტორიას. წარმოუდგენელია ჩვენი სპორტი, კერძოდ ტანვარჯიში — მხატვრულია იგი თუ სპორტული — მუსიკის გარეშე, კომპოზიტორის გარეშე, ამიტომ არის რომ ტანმოვარჯიშეებს — ვეტერანებსა თუ ახალბედებს — ასე დაწყვიტა გული მათი ერთგული მეგობრისა და მოჭირნახულის, ცნობილი კომპოზიტორის **ლილი იაშვილის** გარდაცვალებამ.

წავიდა ჩვენგან საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორთა კავშირის წევრი, საესტრადო სასწავლებლის პედაგოგი ლილი იაშვილი — ადამიანი, რომელმაც მრავალი შესანიშნავი სიმღერა დაუტოვა ქართველ ხალხს. ლილი იაშვილის შემოქმედებას ეკუთვნის ცნობილი ოპერეტა „ბაბაჯანას ქოშები“, რომელიც წარმატებით წარმოადგინა თბილისის მუსკომედიის თეატრის დასმა მოსკოვში გამართული ქართული კულტურის დღეებზე, შემდეგ კი ასევე მოწონება ხვდა პოლონეთის სცენაზეც ვარშავის ოპერეტის მომღერალთა შესრულებით.

დიდად აღიარებული კომპოზიტორი გახლდათ, მაგრამ სპორტისათვის დროს ყოველთვის პოულობდა. უფრო მეტიც, ლილი ხომ სწორედ ფიზკულტურისა და სპორტის გზით მოვიდა ხელოვნებაში. 1945 წელს ლილი იაშვილმა გაიმარჯვა საქართველოს სპორტული დელეგაციის გამოსვლისათვის გამოცხადებულ მუსიკალურ კონკურსში. კომისიის წევრებმა, რომელშიც ცნობილი მუსიკოსები შედიოდნენ, ერთხმად აღიარეს მის მიერ წარმოდგენილი „მუსიკალური ციკლი“. ეს მელოდია მართლაც რომ დიდებულად აჟღერდა მოსკოვში, წითელ მოედანზე, საბჭოთა მთავრობის წინაშე.

ლილი იაშვილი პირველად თბილისის საბავშვო ბაღებში ხელმძღვანელობდა ნორჩების რიტმული ვარჯიშების მუსიკალურ გაფორმებას, მერე ლენინის სპორტდარბაზში მხატვრული ტანვარჯიშის მომავალ ოსტატებს აკომპანიატორობდა, ბოლოს კი, თითქმის მეოთხედი საუკუნე სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ნაკრების მუდმივი თანამგზავრი და მუსიკალური მოჭირნახულე იყო — მოვარჯიშეებს შესაფერის მელოდიას უდგენდა (ხშირად კი სპეციალურად წერდა მათთვის) და თვითონვე უკრავდა მათთვის. სად არ ყოფილა ლილი იაშვილი ქართველ სპორტსმენებთან ერთად — ლენინგრადსა თუ კიევში, ლვოვში, ვილნიუსში, ტალინში, მოსკოვში ხალხთა სპარტაკიადებზე...

აი უკვე ოთხი ათეული წელიწადია რადიოთი ისმის დილას გამამხნევებელი ვარჯიში, რომელსაც — ცოლ-ქმარი ლილი იაშვილი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი გრიგოლ მამარდაშვილი ატარებენ. ვინ მოთვლის, რამდენი ათასი ადამიანი ვარჯიშობს რადიოსთან ერთად, ვინ იცის, რამდენი ყმაწვილი — გოგო თუ ბიჭი მომაგრდა ფიზიკურად და გაჯანმრთელდა რადიოდან გამოსული ნაცნობი ჰანგების ხმაზე?

...ის ჩვენიც იყო. იყო და აღარ არის. დარჩა კეთილი მოგონებები ამ ნიჭიერ, სათნო, სიცოცხლისმოყვარე ქალზე, დარჩა მისი დიდებული მელოდიები, სიამით რომ ეფინება სმენას.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა ჯგუფი.

● **ჭადრაკი**

უმაღლესი ლიგის საგზურისთვის

ტალინში დაიწყო სსრ კავშირის ვაჟთა 51-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობს 18 მოჭადრაკე (6 დიდოსტატი, 5 საერთაშორისო ოსტატი, 7 ოსტატი). მათ შორისაა თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ე. უბილავა. ის, ვინც დაიკავებს I ადგილს, სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის (1984 წ. მოსკოვი) საგზურს მიიღებს, II-VII ადგილების მფლობელები — სსრ კავშირის 1985 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საგზურებით დაჯილდოვდებიან.

I ტურში უბილავასა და ვ. გავრიკოვის (ვილნიუსი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ აგრეთვე რ. ხოლმოვი (მოსკოვის ოლქი) — ა. ჰუსეინოვი (ბაქო), ი. პოლოვოდინი (ლენინგრადი)— ს. მაკარიჩევი (მოსკოვი), ლ. ოლი (ტალინი) — ი. დორფმანი (ლვოვი), პ. კორზუბოვი (მინსკი) — ა. ხარიტონოვი (მოსკოვი) და მ. პოდგაეცი — კ. ლერნერი (ორივე — ოდესა). ლ. იურტაევმა (ფრუნზე) მოუგო ბ. გულკოს (მოსკოვი). ორი პარტია გადაიდო.

შეჯიბრება 28 დეკემბრამდე გასტანს.

ათიდან ათი!

საბჭოთა „კლასიკოსების“ დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა ზაპოროჟიეში გამართული საერთაშორისო ტურნირი (ამ შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად გამოდიოდნენ: ბულგარეთის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთისა და ფინეთის მოჭიდავეები). ათივე წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს ჩვენმა ფალავნებმა: მოსკოველმა ვ. სავჩუკმა (48 კგ), ერევნელმა ხ. სიმონიანმა (52), ტაშკენტელმა კ. ფატკულინმა (57), ხაბაროვსკელმა ს. ავდეევმა (62), გომელელმა ი. ჩეჩკომ (68), ზაპოროჟიელმა ვ. ზაპოროჟჩენკომ (74), თბილისელმა ზ. ყუბუსიძემ (82), ტალინელმა ლ. ვედმინასმა (90), კიეველმა ვ. კლიმენკომ (100) და ყარაგანდელმა ი. რასტოროცკიმ (+ 100).

გულადი და მკვირცხლი ადამიანების ბრძოლა გულცივ და უკარებ კლდეებთან ყოველთვის იწვევს მაყურებლის გაოცებას და აღტაცებას. გაოცებას იმიტომ, რომ ხაქმეში ჩაუხედავ კაცს წარმოუდგენლად ეჩვენება ლარივით სწორ, შვეულ კლდეზე ადამიანის ასვლა, აღტაცებას იწვევს ის, რომ გულადი ადამიანები მარჯვედ და სწრაფად ახერხებენ ასეთი დაბრკოლების გადალახვას.

ხ. ვართანესოვის ფოტოები.

„ტიუნიტის თასი“

ტოკიო. იაპონიის ქალაქ ნაგოიაში დამთავრებულ ტანმოვარჯიშეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში — „ტიუნიტის თასი“ მრავალჭიდელთა შეჯიბრებაში კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდნენ საკავშირო თასის მფლობელი 14 წლის ლენინგრადელი მოსწავლე ელენა შუშუნოვა და ორძელზე ვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონი 18 წლის ვლადიმირელი ვლადიმერ არტემოვი.

შუშუნოვას შედეგი (38,75) 0,1 ქულით ჩამორჩება — გამარჯვებულის, ამერიკელი ტანომვარჯიშის მერი-ლოუ რეტონის შედეგს. III ადგილი დაიკავა, აგრეთვე აშშ-ის ნაკრების წარმომადგენელმა დიანა დურხემმა (38,60).

ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი იყო იაპონიის ნაკრების ლიდერი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი მრავალჭიდში კოძი გუსიკენი—58,60. არტემოვის შედეგია — 58,05. III ადგილზე გავიდა გუსიკენის თანამემამულე კოძი სოტომურა — 57,90.

● **კრივი**

მხოლოდ 14 მაძიებელი

სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი კრივში პირველად გახდა 23 წლის გომელელი ა. იაკოვი. გუშინწინ მან მოსკოვის სპორტის სასახლე „კრილია სოვეტოვის“ რინგზე ფინალში დაამარცხა 25 წლის როსტოველი გ. მალიხინი. იაკოვს გადაეცა „ბრძოლის ხელთათმანი“, ოქროს მედალი და ყოველკვირეული „ნედელიას“ პრიზი. ვერცხლის მედალი და უფრო მცირე ზომის „ხელთათმანი“ გადაეცა მალიხინს. სულ ასპარეზობაში მონაწილეობდა 14 მოკრივე (წინასწარი შეხვედრები გაიმართა ნოემბერში კაუნასში). მძიმეწონოსანთა ეს ტურნირი მეთექსვმეტედ გაიმართა, მაგრამ ამ საპრესტიჟო ტიტულს პირველად ჰყავდა ასე ცოტა მაძიებელი. სპორტსმენების, მათ შორის ფინალისტების მომზადების დონე ერთობ დაბალი იყო. იაკოვის წონა 96 კილოგრამია, ხოლო მალიხინისა — 93.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საბჭოთა კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე — 07952